ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 9012

ქ. თბილისი „20" „04" 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები:
1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში "შემსყიდველი") მინისტრის მოადგილის გაიოზ თალაკვაძის სახით, და მეორე მხრივ შპს „ახალი ამბების სააგენტო კაუკასუსნიუსი" (შემდგომში "მიმწოდებელი"), გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხარტიშვილი სახით.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N803 განკარგულების შესაბამისად "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10' მუხლის, მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის ასიგნებების ფარგლებში, სარეკლამო კამპანიის მომსახურების სახელმწიფო (CPV79341400) შესყიდვა. რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემო აღნიშნული მომსახურება 600 (ექვსასი) ლარად დამატებითი ღირებულების გათვალისწინებით (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
3.1. C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, საინფორმაციო ბანერის განთავსება ინტერნეტ პორტალ ExpressNews - ზე.

4. მომსახურების გაწევის პირობები
4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 21 აპრილიდან ერთი თვის მანძილზე;
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 3.1. პუნქტში მითითებულ ინტერნეტ პორტალზე განთავსების გზით.

5. ანგარიშსწორების პირობები
5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის საფუძველზე, მხარეებს შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზედაც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი N1) სამ ეგზემპლარად.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.1.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
7.1.3. მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს მომსახურების გაწევა მაღალი ხარისხით და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;
7.1.4. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;
7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
7.2.2. უზრუნველყოს "მიმწოდებლის" ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.2.3. დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით;
8.1.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელს უფლება აქვს შეაჩეროს მომსახურების გაწევა მისი კუთვნილი თანხის მიღებამდე.
8.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;
8.2.2. აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.4 დაუშვებელია ერთეულის ფასის ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდას.
10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების

ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი: სამინისტროს მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის, ღონისძიებათა დაგეგმვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ქეთევან ფხაკაძე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 1 ივლისის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	მომწოდებელი
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	შპს ,,ახალი ამბების სააგენტო კაუკასუსნიუსი"
საიდენტიფიკაციო კოდი: #211333957	ქ. თბილისი, ნავთლუღ-კახეთის ქ. N2
ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. #144.	საიდენტიფიკაციო კოდი 206341010
სახელმწიფო ხაზინა	სს ,,საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222)	ბ/კოდი: BAGAGE22
	GE07BG0000000333702800
მინისტრის მოადგილე	შპს-ს დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

ი. ქიტიაშვილი

ი. აბრამიშვილი

ქ. ფხაკაძე

ა. თორია

შემსრულებელი: თ. შალამბერიძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

26 ---04--- 2015 წ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს ,,ახალი ამბების სააგენტო კაუკასუსნიუსი"–ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესს.

გ. თალაკვაძე

ი. ბიბილაშვილი

ი. აბრამიშვილი

ქ. ფხაკაძე

თ. შალამბერიძე